

მსხვერპლის  
ადვოკატირების  
გზამკვლევი  
სექსუალური  
ძალადობის  
შესახებ ჭაბის  
პრინციპებში

—



# შინაარსი

- ნაწილი I.** სემსუალური ძალადობის შესახებ ჰაბის პრინციპებში მსხვერპლის ადვოკატირების გზამკვლევის საფუძველი
- ნაწილი II.** ჰაბის პრინციპები სემსუალური ძალადობის შესახებ
- ნაწილი III.** ჰაბის პრინციპების გამოყენება ადვოკატირებაში
- დანართი 1.** სემსუალური ძალადობის შესახებ ჰაბის პრინციპებით ადვოკატირების სქემა

# ნაწილი I.

## სემსუალური ძალადობის შესახებ ჰაბის პრინციპებში მსხვერპლის ადვოკატირების გზამკვლევის საფუძველი

### 1. რა არის მსხვერპლის გზამკვლევი?

ამ გზამკვლევის მიზანია ადვოკატირებით დაკავებული მსხვერპლებისთვის ისეთი ინსტრუმენტის შეთავაზება, რომელიც შესაძლებელს გახდის მსხვერპლთა ადვოკატირების უფრო მრავალფეროვანი მექანიზმების გამოყენებას, მათ შორის, ინფორმაციას სემსუალური ძალადობის შესახებ ჰაბის პრინციპების შექმნის საფუძვლის შესახებ და რჩევებს, თუ როგორ დაწერონ დოკუმენტი ადვოკატირების განხორციელების პროცესში. დაგარალბულთა გზამკვლევი შემუშავებულია მსხვერპლი აქტივისტებისთვის ჰაბის პრინციპების მიზნების უფრო ეფექტიანად გასაზიარებლად.

გზამკვლევი სამი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი განავრცობს ინფორმაციას გზამკვლევის შესახებ და მეტ ინფორმაციას გვანდის, თუ ვისთვისაა განკუთვნილი დაგარალბულთა გზამკვლევი (ძირითადად მსხვერპლი აქტივისტებისთვის). მეორე ნაწილი უფრო სიღრმისეულად განიხილავს ჰაბის პრინციპებს, მათ შორის, გვანდის ინფორმაციას, თუ რატომაც ეს დოკუმენტი ასეთი მნიშვნელოვანი რეალური ცვლილებების მოსახდენად და სემსუალური ძალადობის დასაბრუნებლად. მესამე ნაწილი კი მსხვერპლ აქტივისტებს დაეხმარება გაცნობიერებაში, თუ როგორ შეუძლიათ ამ ინსტრუმენტის დაწერვა მათ საჭიროებაში და იზიარებს ადვოკატირების დაგეგმვის ეტაპებს.

### 2. ვისთვისაა განკუთვნილი მსხვერპლთა გზამკვლევი?

ამ გზამკვლევით სარგებლობა შეუძლია ყველა მსხვერპლს, ვინც დაინტერესებულია ცნობიერების ამაღლების და ადვოკატირების აქტივობებით. ამასთან, გზამკვლევი დაწერილია იმ პირთათვის, ვინც უკვე ჩართულია ამ თვის საჭიროებაში, და შესაბამისად, ფლობს საბაზისო ცოდნას აქტივობების, დაინტერესებული აუდიტორიისა და გზავნილების შესახებ.

გზამკვლევი მოიცავს იმ მთავარი საკითხების მოკლე მიმოხილვას, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია მართლმსაჯულების საკითხებზე ადვოკატირებისას, მსხვერპლთა მხარდაჭერის გასაუმჯობესებლად, უკეთესი აღიარებისთვის ან ნებისმიერ სხვა თემაზე. მიუხედავად ამისა, უფრო სიღრმისეულ ცოდნას მოიპოვებთ ადვოკატირების ძირითადი პრინციპების ამსახველი რესურსებიდან/წყაროებიდან.

შესაბამისად, გზამკვლევი განკუთვნილია იმ მსხვერპლთათვის და დაგარალბულთათვის, ვისაც სჭირათ, რომ ჰაბის პრინციპები სემსუალური ძალადობის შესახებ გამოადგებათ ადვოკატირების საჭიროებაში და ცნობიერების ამაღლების კამპანიებში, ასევე მათ ქვეყნებში ცალკეული კამპანიების ჩატარების საჭიროების გამოვლენაში. მიზანშეწონილია გზამკვლევის გაცნობა არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რომლებიც მუშაობენ უშუალოდ დაგარალბულთა ადვოკატირებაში ჩართულ პირებთან, რათა გაიფართოვონ თვალსაწიერი თავიანთ საჭიროებაში და აღნიშნული ინფორმაცია მიიწოდონ იმ დაგარალბულებს და მსხვერპლებს, რომლებთანაც მუშაობენ.

# ნაწილი II.

## ჰაბის პრინციპები სემსუალური ძალადობის შესახებ

### 1. რა არის ჰაბის პრინციპები სემსუალური ძალადობის შესახებ?

ჰაბის პრინციპები სემსუალური ძალადობის შესახებ იზიარებს მსხვერპლზე ორიენტირებულ მიდგომას და აყალიბებს სემსუალური ძალადობის ისეთ ცნებას, რომელიც მის ყველა ფორმას ითვალისწინებს. ამ დოკუმენტის ერთი ნაწილი - სამოქალაქო საზოგადოების დეკლარაცია სემსუალური ძალადობის შესახებ, წარმოგვიდგენს ზოგად გზამკვლევეს, თუ რა ანიჭებს ძალადობას „სემსუალურ“ ხასიათს, განსაკუთრებით კი მსხვერპლის გადმოსახედიდან. ეს ინსტრუმენტი უზრუნველყოფს, რომ ყველა სპეცილისტმა, დაწყებული საპარტლის პრაქტიკოსებით, დასრულებული არასამთავრობო ორგანიზაციებითა და პოლიტიკის შემწნაგმ პასუხისმგებელი პირებით, არ უარყოფ ძალადობის კონკრეტული ფორმები. ჰაბის პრინციპები აიდენტიფიცირებს სემსუალური ძალადობის საკითხებზე მომუშავე ყველა ძირითად მხარეს - მათი ჩათვლით, ვინც წლების მანძილზე ეწევიან მსხვერპლთა მხარდაჭერას - მართალია, ჩვენ შესაძლოა ვფიქრობთ, რომ გვესმის სემსუალური ძალადობა და ვთანხმდებით, რომ სემსუალური ძალადობის განსაზღვრებები არასრულფასოვანია, ჩვენ არ შეგვიძლია დამოუკიდებლად შევავსოთ ეს განსაზღვრებები, მსხვერპლთა მიერ მოწოდებული უნიშვნელოვანესი მონაცემების გარეშე.

სემსუალური ძალადობის შესახებ ჰაბის პრინციპებში ყველაზე მნიშვნელოვანია ის ნაწილი, რომელიც შეიცავს იმ მსხვერპლთა და დაზარალებულთა მიერ მოწოდებულ მონაცემებს, რომლებიც წარმართავდნენ ამ დოკუმენტის შემუშავებას. მხოლოდ მსხვერპლს და დაზარალებულს შეუძლიათ სრულყოფილად განსაზღვრონ და ჩამოაყალიბონ ჩვენი აღქმა სემსუალური ძალადობის შესახებ და არა დრომოჭმულ იურიდიულ ჩარჩოებს ან იმ პრაქტიკოსებს, რომლებიც სემსუალური ძალადობის მსხვერპლებს უწევენ მხარდაჭერას. აუცილებელია, რომ წარმოდგენილი იყოს და პრიორიტეტი მიენიჭოს მსხვერპლთა და დაზარალებულთა რეალური აღქმებს.

**[ჩვენ] ვალდებული ვართ, ყურადღება გავამახვილოთ, რომ ჩვენ, მსხვერპლები გავერთიანდით და შევადგინეთ ეს დოკუმენტი. რათა მათ იცოდნენ, რომ იგი არ მომდინარეობს რომელიმე კაბინეტიდან, არამედ მსხვერპლები გავერთიანდით და განსვსაზღვრეთ, თუ როგორ უნდა განიხარტოს სემსუალური ძალადობა.**

როგორც ჰაბის პრინციპების ნაწილი, სამოქალაქო საზოგადოების დეკლარაცია - მსხვერპლთა ადვოკატირებისთვის ყველაზე რელევანტური ნაწილი - გამომდინარეობს მსხვერპლთა გამოცდილებებიდან, რათა აღიარებული იყოს, რომ ა) სემსუალური ძალადობის უარყოფითი შედეგები მსხვერპლის გარდა აზიანებს ოჯახებს, თემებს და თაობებს შორის შენარჩუნდება; ბ) სემსუალური ძალადობა შესაძლებელია, ჩადენილი იყოს ნებისმიერ მომენტში და კონტექსტში, ნებისმიერი ადამიანის მიერ ნებისმიერი ადამიანის წინააღმდეგ; და გ) სემსუალური ძალადობა შესაძლებელია, ჩადენილი იყოს უპირავე სხვადასხვა ფორმით, მათ შორის, პირის სემსუალური და რეპროდუქციული შესაძლებლობების კონტროლით; ერთი ან რამდენიმე ადამიანის იძულებით, რომ ჩადენონ სემსუალური ძალადობის აქტები; ან პირის ფიზიკურ, მენტალურ ან ემოციურ სივრცეში შეჭრით.

ეს ინსტრუმენტი განკუთვნილია იმ მსხვერპლებისა და დაზარალებულებისთვის, ვინც იბრძვიან კონფლიქტის დროს ჩადენილი სექსუალური ძალადობის დასრულებისთვის.

## 2. რატომ არის სექსუალური ძალადობის შესახებ ჰაბის პრინციპები ასეთი მნიშვნელოვანი?

ჰაბის პრინციპების მიზანია მსხვერპლთა ხმების გაძლიერება. უფრო კონკრეტულად, მათ აქვთ პოტენციალი:

- გამოკვეთონ მსხვერპლზე ორიენტირებული ხედვა სექსუალური ძალადობის, მათ შორის, ძალადობის უარყოფითი შედეგების წინააღმდეგ ბრძოლაში;
- ბიძგი მიცენ კანონმდებლობას და პოლიტიკას, რომლებიც სექსუალურ ძალადობას უფრო ეფექტიანი და ჰუმანური მეთოდებით მიუდგებიან;
- ყურადღება მიაკვირონ სექსუალური ძალადობის მიმართ საბარტელის პრაქტიკოსების მიდგომებსა და გამოწვევებზე და თავიდან აიცილონ მათ მიერ ამ აქტების მნიშვნელობის უგულებელყოფა ან იგნორირება.
- აღიარონ და იურიდიული ძალა მიანიჭონ სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა გამოცდილებებს;

წარმოიდგინეთ, რომ დაგეგმეთ შეხვედრა პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირთან, რათა მხარი დაუჭიროთ კანონმდებლობას, რომელიც აღიარებს თქვენი მემორის ტანჯვას, რომელიც იყო დაკავებული და ყოველდღიურად განიცდიდა სექსუალური ძალადობის მუქარას. მიუხედავად იმისა, რომ თქვენ იცით, რომ ეს დანაშაულია, იგი არ ითვლება დანაშაულად თქვენი ქვეყნის საბარტელის სისტემით. მართალია, ჰაბის პრინციპებს არ აქვთ კანონის ძალა, მათ შეუძლიათ აჩვენონ პოლიტიკის შემუშავებელს, რომ მსხვერპლები გაერთიანდნენ, ერთობლივად ჩამოაყალიბეს სექსუალური ძალადობის არსებული ფორმები და ახლა ხელმისაწვდომია რესურსი, რომელსაც შეიძლება მიმართონ იმის საჩვენებლად, რომ ეს შემდეგები არის დანაშაულები, რომლებიც უნდა ისჯებოდეს. ამ დოკუმენტს შეუძლია მათი გამოცდილებისთვის იურიდიული ძალის მინიჭება.

# ნაწილი III.

## ჰაბის პრინციპების გამოყენება ადვოკატირებაში

### 1. რომელ აქტივობებშია შესაძლებელი საქსუალური ძალადობის შესახებ ჰაბის პრინციპების გამოყენება?

წარმოგიდგინეთ იმ აქტივობების ჩამონათვალი, რომლებშიც შესაძლოა, ჩართოთ და გამოიყენოთ ჰაბის პრინციპები საქსუალური ძალადობის შესახებ.

#### ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები და საზოგადოების გააქტიურება

თქვენ შესაძლოა, ჩართული ხართ თქვენი თემის ღონისძიებებში, რელიგიურ ან ტრადიციულ ღონისძიებებთან ერთად, პოლიტიკის შემსწავლელ პასუხისმგებელ პირებთან, პოლიციელებთან ან სახელმწიფო პირებთან, მასშტაბებთან, ან მრავალ განსხვავებულ ადამიანთან ერთად.

ღონისძიებები კარგი შესაძლებლობაა ჰაბის პრინციპების შესახებ ინფორმაციისა და საქსუალური ძალადობის ყველა ფორმის შესახებ მათი გავრცელების გასაზიარებლად.

პირველი ნაბიჯი ყოველთვის იქნება ინფორმაციის მიწოდება იმის შესახებ, რომ მსხვერპლები შეკავშირდნენ და ექსპერტებთან ერთად გადაწყვიტონ, თუ როგორი იქნება საქსუალური ძალადობის არსის უკეთესი განმარტება.

ამის შემდეგ თქვენი მიზანი შეიძლება იყოს აუდიტორიის ინფორმირება საქსუალური ძალადობის სხვადასხვა ფორმის შესახებ, რათა აჩვენოთ, რომ იგი მოიცავს გაუპატიურების გარდა სხვა ქმედებებს, რომლებიც შეიძლება იყოს მსხვერპლისთვის ზიანის მომტანი.

მოუწოდეთ აუდიტორიას, რომ დაივიწყონ საქსუალური ძალადობის ცნების შესახებ ადრე არსებული მოსაზრებები. ასევე ითვალისწინეთ და გააცნობიერეთ ისინი ძალადობის სხვადასხვა ფორმაში. ყურადღება გაამახვილეთ, რომ არსებული სამართლებრივი ჩარჩო სრულყოფილად არ განსაზღვრავს საქსუალურ ძალადობას. მაგალითად, რა ხდება საქსუალური ძალადობის მუშარის შემთხვევაში? რა ხდება საქსუალურ და რეპროდუქციულ ჰანტერთაგან დაკავშირებულ სამედიცინო სერვისებზე წვდომის შეზღუდვის შემთხვევაში? რა ხდება საქსუალური ორიენტაციის გამო პირის დამცირების შემთხვევაში? რა ხდება, როდესაც პირს აძულებენ, უყუროს საქსუალურ აქტს?

#### როგორი ინსტრუმენტების გამოყენება ჰკრებს?

ღონისძიებებისას შეგიძლიათ, გამოიყენოთ სხვადასხვა ინსტრუმენტი დაგარალებულთა ადვოკატირების კრებულთან. მაგალითად, შესაძლებელია, სასარგებლო იყოს პრევენციული დაწყება. შეგიძლიათ, გამოიყენოთ პრაქტიკის კრებული აუდიტორიის სავარჯიშოდ, აჩვენოთ მათ, რამდენად გლობალური სახე აქვს საქსუალური ძალადობის შემთხვევებს და რამდენად მრავალფეროვანია ისინი. ღონისძიების მონაწილეებს აუცილებლად დაუბოძეთ ბროშურა ან ჰაბის პრინციპების შინაარსი, რომლებიც ასევე მოცემულია მსხვერპლთა ადვოკატირების კრებულში.

#### რადიოგადაცემები

ცნობიერების ამაღლების კიდევ ერთი კლასიკურია რადიოგადაცემები, სადაც შესაძლებელია, მოგვცეთ შესაძლებლობა, რომ საზოგადოებას მიწოდოთ ინფორმაცია საქსუალური ძალადობისა და მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომების მნიშვნელობის შესახებ.

რადიოგადაცემებს როგორც წესი, უფრო ფართო წვდომა აქვთ და უკვე თუ არ ხართ ჩართული ასეთ აქტივობებში, შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ რადიოგადაცემებს, გაუმზავნოთ მათ ინფორმაცია სექსუალური ძალადობის და უფრო კონკრეტულად ჰაგის პრინციპების შესახებ. ასეთ შემთხვევებში, როდესაც დაკავშირებას ცდილობთ, შეგიძლიათ, გამოიყენოთ ხელსაწყო - მოკლე შინაარსი და დოკუმენტი, რომელიც ხაზს გაუსვავს თქვენი გზავნილების სასარგებლო მხარეებს.

### როგორ ინსტრუმენტები გამოვიყენო?

განიხილეთ კოდექსის ფორმატის გამოყენება, ასევე ინსტრუმენტი, რომელსაც დაგარალეულთა ადვოკატირების კრებულში ნახავთ.

გახსოვდეთ, გარკვევით მოიფიქრეთ, თუ რისი თქმა გსურთ.

### პოლიტიკის შემუშავებელ პირებთან შეხვედრები

პოლიტიკის შემუშავებელ პირებთან შეხვედრა და ლობირება არაერთი მსხვერპლი აქტივისტის საქმიანობის ნაწილია. თქვენ შეგიძლიათ პოლიტიკის შემუშავებელ პირებთან ლობირება მათთან ურთიერთობის დაწყარებით და ეფექტიანი კომუნიკაციის წარმოებით. ეფექტიანი კომუნიკაციისთვის მნიშვნელოვანია, იფიქროთ, როგორ მოხვდება ჰაგის პრინციპები მათ ფართო პოლიტიკურ მიზნებში და ყურადღების არეალში. მნიშვნელოვანია აჩვენოთ მათ, რომ ასეთი დოკუმენტის გამოყენებას ექნება დადებითი გავლენა მთლიანად საზოგადოებაზე. ამასთანავე, დისკუსიაში ჩართვამდე დარწმუნდით, რომ მათი მიდგომები და ხედვა ამ საკითხზე კარგად გაქვთ შესწავლილი.

შეგიძლიათ მათ დაუსვათ შემდეგი კითხვები (მაგალიტები):

- როგორ განსაზღვრავთ სექსუალური ძალადობის ცნებას თქვენს მიდგომებში?
- როგორ შეგიძლია ჩვენ, როგორც მსხვერპლ აქტივისტებს, მოგცეთ უკუკავშირი სექსუალური ძალადობის მიდგომების პროექტზე?
- შეგიძლიათ, დავისასხელეთ შემთხვევები, როდესაც მსხვერპლები მოწვეული იყვნენ მიდგომების განხილვაზე, ან გვითხრათ, შემდგომში სად ჩატარდება განხილვა?

მოიფიქრეთ, როგორ აიმაღლოთ ლეგიტიმაცია. მოიშველიეთ ჰაგის პრინციპები, როგორც გამოქვეყნებული დოკუმენტი, რაც დამაჯერებლობას შემოტებს თქვენს გზავნილს, რომ მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომა ყველაზე ღირებულია. ასევე შეგიძლიათ, გააკეთოთ პირდაპირი მითითება კონკრეტულ პრინციპებზე, რომლებიც ამ დოკუმენტშია წარმოდგენილი.

### როგორ ინსტრუმენტების გამოყენება ჭრის?

როდესაც მიწვეული ხართ პოლიტიკის განხილვაზე, კარგი იქნება სექსუალური ძალადობის შესახებ ჰაგის პრინციპების მთლიანად გაგიარება. ასევე შეიძლება ისინი დააინტერესოთ, რომლებსაც მოაწყობთ ცნობიერების ასამაღლებლად, რაც გემოთ მოკლედია წარმოდგენილი. არ დაივიწყოთ ადვოკატირების კრებულში წარმოდგენილი სხვადასხვა ინსტრუმენტი, როგორიცაა ჰაგის პრინციპების შემოკლებული შინაარსი, სასაუბრო საკითხების დოკუმენტი ან მოწოდებები მოქმედებისკენ.

როგორ ინსტრუმენტის არ უნდა აირჩიოთ, შეხვედრის შემდეგ აუცილებლად შეხშიანეთ და კიდევ ერთხელ გაამახვილოთ ყურადღება თქვენს გზავნილზე ცხადი და შთაბეჭდავი ფორმით. გახსოვდეთ: ამ სესიებში თქვენ ხართ ექსპერტი.

## პროტესტი

ადვოკატირების კიდევ ერთი ძლიერი მეთოდია პროტესტის ან მსვლელობის მოწყობა ცნობიერების ასაბაღლებლად და ძირითადი მხარეებისთვის მოქმედებისკენ მოწოდება. პროტესტი ისეთ ჯგუფებს, როგორცაა მაგალითად მსხვერპლთა ჯგუფები, აქლევს შესაძლებლობას, გამოხატონ მოსაზრებები და მწუხარება, იმის შესახებ, რაც მოცემულ საგოგადოებაში ხდება. მათ შესაძლოა, მოითხოვონ სექსუალური ძალადობის დასრულება და ოფიციალური ბოდიშის მოხდა მთავრობისგან იმისთვის, რაც მოხდა კონფლიქტის დროს. ან მოუწოდონ შესაბამის აქტორებს, რომ აღასრულონ (სისხლის სამართლის) მართლმსაჯულება ჩადენილი დანაშაულებისთვის. პროტესტის მიზნები შეიძლება იყოს (კოლექტიური) სიმართლის მოყოლით საგოგადოებრივ აზრზე გეგავლენის მოხდენა, ცვლილებების, საჯარო პოლიტიკის ან კანონმდებლობის შეცვლის და ცნობიერების ამაღლების მხარდაჭერი და მისთვის მებრძოლი აუდიტორიის გაფართოება. პროტესტის ერთი მიზანი - სექსუალური ძალადობის შესახებ ამაჟამად არსებული განმარტების შეცვლა შეიძლება, მოექცეს კამპანია „უწოდე მას ის რაც არის“ კამპანიის ფარგლებში. პროტესტის მონაწილეებს შესაძლოა სურდეთ ყურადღების გამახვილება, რომ სექსუალური ძალადობა შეიძლება მრავალი ფორმით გამოიხატოს, რაც ჰერჯერობით კანონმდებლობაში სრულყოფილად არაა ასახული; ან რომ მსხვერპლებმა იციან უკეთ, თუ რა არის იგი და აუცილებელია, რომ ისინი ჩართულნი იყვნენ სექსუალური ძალადობის შესახებ არსებული მიდგომების განხილვაში.

## სხვა მსხვერპლებთან პირისპირ შეხვედრებით სწავლა

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მსხვერპლები ერთობლივად მუშაობენ ორგანიზაციებსა და ქსელებში, რათა განამტკიცონ სოლიდარობა და მიაღწიონ ეფექტურ ცვლილებებს. პირისპირ შეხვედრები მსხვერპლ აქტივისტებს აქლევს შესაძლებლობას, გაერთიანდნენ და შეთანხმდნენ წინსვლის გეგმა, მათი საჭიროებებისა და აქტივობების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, რომ მსხვერპლ აქტივისტებს აგრეთვე შესაძლებლობა აქვთ, ისწავლონ ერთმანეთისგან და გააზიარონ სხვადასხვა ინიციატივა, რომელშიც ჩართულნი არიან. იმ მსხვერპლ აქტივისტებს, რომლებსაც აინტერესებთ სექსუალური ძალადობის შესახებ ჰაბის პრინციპების გამოყენებით ადვოკატირების მიზნების მიღწევა, პრინციპების ეფექტიანი განხილვა სხვა მსხვერპლებთან ერთად, სასარგებლო იქნება უკეთესად გაცნობიერებისა და წინსვლის მიზნით შესაბამისობადად.

## რომელი ინსტრუმენტების გამოყენება ჯობს?

მსხვერპლთა ადვოკატირების კრებული წარმოგვიდგენს მთელ რიგ ინსტრუმენტებს, რომლებიც გამოგადგებათ შეხვედრებში, რომელთა მიზანია მსხვერპლების დახმარება, რომ უკეთ გააცნობიერონ სექსუალური ძალადობის შესახებ ჰაბის პრინციპები და თუ რისი მიღწევა შეუძლიათ მათ. კარგია სამოქალაქო საგოგადოების დეკლარაციის სრულად გამოყენება სხვა აქტივისტებთან ერთად. ასევე ნაბეჭდი მასალები, „ქალთა ინიციატივები გენდერული სამართლიანობისთვის“ მიერ წარმოდგენილი ვიდეოები და ვოკაშოკის კურიკულუმის (ნახევარდღიანი ვერსია) კომპონენტები ხელს შეუწყობს ინფორმაციის გავრცელებას პირისპირ შეხვედრების დროს.



## 2. ვინ არიან ძირითადი მხარეები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია სექსუალური ძალადობის შემსახებ ჰაბის პრინციპებზე მუშაობისას?

თითოეული ფორმით ადვოკატირებისას, ამ ალწერილ ან სხვა სახის აქტივობაში ჩართვისას, მნიშვნელოვანია სწორად განსაზღვროთ, ვის დაუკავშირდებით, მოიწვევთ ან დააკონტაქტებთ. როგორც აღრევ აღინიშნა, თქვენ შესაძლოა, უკვე ჩართული ხართ სულიერ ნინამძღვართან, ეკლესიის ლიდერებთან, მამაკაცებთან, პოლიციასთან, სამხედრო პირებთან, პოლიტიკის შემსუავეებელ პირებთან, ან სხვა აქტორებთან ურთიერთობაში. როდესაც გეგმას ადგენთ, დარწმუნდით, რომ იმ აქტორებზე ფიქრობთ, ვისაც თქვენს სამიზნე სფეროში ძლიერი გავლენა აქვთ და ვისაც ნამდვილად აინტერესებთ ეს თემატიკა. მაგალითად, თუ გსურთ თქვენს ქვეყანაში სექსუალური ძალადობის არსის მიმართ არსებული მიდგომებისა და სამართლებრივი რეგულაციების შეცვლა, ვისთან დაკავშირება დაგჭირდებათ ამ ორი საკითხისთვის? და დარწმუნდით, რომ გათვითცნობიერებული ხართ უკვე არსებულ ღონისძიებებში, რომლებიც შესაძლებელია, თქვენსას მიესადაგება!

## 3. რა ძირითადი გზავნილები გაქვთ მონაწილე მხარეებთან სექსუალური ძალადობის შემსახებ ჰაბის პრინციპების ფარგლებში?

მოდით, განვიხილოთ, რა გზავნილები შეიძლება გქონდეთ. გახსოვდეთ, სხვებთან რაიმე სახის ინტერაქციის დაწყებამდე კარგად გაერკვიეთ საკუთარ გზავნილებში. მაგალითად:

- სექსუალური ძალადობა არ არის ლიმიტირებული სამართლებრივი განსაზღვრებებით, რადგან მან შეიძლება მრავალი სხვადასხვა სახე მიიღოს
- მსხვერპლები არიან ყველაზე შესაფერისი პირები სექსუალური ძალადობის ფორმების შემსახებ სხვების ინფორმირებისთვის
- სექსუალური ძალადობა მრავალ უარყოფით შედეგს იწვევს მსხვერპლების მიმართ და თითოეული გამოცდილება არის უნიკალური, მიუხედავად სექსუალური ძალადობის ფორმისა
- სექსუალური ძალადობა უარყოფით გავლენას ახდენს მთელ საზოგადოებაზე და მსხვერპლების ოჯახებზე

რომელ კერძოპიკასაც აირჩევთ, გახსოვდეთ ყურადღება გაამახვილოთ, თუ რატომაა თქვენი საქმიანობის მიზნები მნიშვნელოვანი ფართო საზოგადოებისთვის. თქვენი მიზნები შესაძლოა, მიმართული იყოს პოლიტიკის შეცვლისკენ, ცნობიერების ამაღლებისკენ, ან სხვა მსხვერპლთა ემოციური მხარდაჭერის ან მათი ამ საქმიანობაში ჩართვისკენ. გაითვალისწინეთ შემდეგი საკითხები:

- დარწმუნდით, რომ გაქვთ თქვენს გზავნილებში არსებული ცნებების ცხადი დეფინიციები
- ცხადად გამოხადეთ, ვისთვის იქნება სასარგებლო სექსუალური ძალადობის უკეთესი გაცნობიერება
- წინასწარ მოემზადეთ კასუხები რთული კითხვებისთვის: რატომ ფიქრობთ, რომ კონკრეტული აქტი სექსუალური ძალადობაა, მით უმეტეს, კანონით თუ არ არის აღიარებული? რატომ უნდა მოგისმინოთ? როგორ უნდა განვსაზღვროთ, რა არის სექსუალური აქტი?

- ისაუბრეთ იმის შესახებ, რა პოტენციური დადებითი შედეგი დადგება, თუ ხალხი მოისმენს თქვენს გზავნილებს და გაიზიარებს თქვენს ძალისხმევას ცვლილების მოსახდენად
- დარწმუნდით, რომ გაქვთ გზავნილი, რომელიც საერთოა თქვენთან ერთად მომუშავე ყველა პირისთვის
- მოქმედეთ გზა რომ თქვენი გზავნილი იყოს არამხოლოდ შოკისმომგვრელი, არამედ მნიშვნელოვანი
- შეიმუშავეთ გზავნილები, რომლებიც არის სანდო, ზუსტი, თანმიმდევრული, მარტივი, მორალური და მოიცავს მოქმედებისკენ მოწოდებას

# დანართი 1.

სექსუალური ძალადობის შესახებ ჰააგის  
პრინციპებით აღვოკატირების სქემა

## სექსუალური ძალადობის შესახებ ჰააგის პრინციპებით აღვოკატირების სქემა

ამ შეხვედრით მსურს მივიღო შემდეგი ცვლილებები:

რა არის თქვენი ერთი ძირითადი გზავნილი?

რა არის თქვენი კონკრეტული  
გზავნილები?

ვისზე ფოკუსირდებით შეხვედრის  
დროს?

როგორ დააინტერესებთ და  
დააფიქრებთ აუდიტორიას საკუთარ  
პასუხისმგებლობაზე?

როგელ ინსტრუმენტს გამოიყენებთ  
თქვენი გზავნილის გადასაცემად?